ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

2024 წელი 31 იანვარი №1 (8200) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

ყველა 93-ე წელია, ჩვენი გზებითა იწერსნ, ვგრთოვებნ, იხსნავენ რეალობის ისტორიას, ხსრეს ეს ფოლის ყვითელ ფრიცვს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფოლა-მზებელ მეცნიერ

*** გზლით ჩვენი მეითხველი! ლა გამოიწერეთ "ახალი განთიადი"!

ერთი წლის ანგარიშ 2, 3

საახალწლო ნობათი 2, 3

მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებთან შეხვედრა 2, 3

თოვლიანი პალიტრა 3, 6

ბურთის მეგობრები 6

ზეიმის გულში ჩახუტება 5

გზამკვლევი ისტორიის ლაბირინთებში 4

ოლიმპიური 2024: სწორება პარიზზე! 6

წინაპართა ნაკვალევზე 4

კარგარეთელის სახელობის სამუსიკო სკოლაში 7

სამხარეო აღმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე 2

წიგნადი ფონდის გაანახლება 7

სახელობითი ოლიმპიადა 4

კასპში მოქმედ სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდულ ცენტრ "მომავალი"-ს ბავშვებს კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა დამდეგი შობა - ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო საჩუქრები გადასცეს.

„ახალი განთიადი„ იძებს ცალიერებლ ფურცლებს ჩვენ ცვგზეთ ფოტო-მასალებს შეცვქმნელოვლ. მოგმართავთ თხოვნით - ლაფოვეთ თქვენი ყველა მასალები! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლ ფოტოები!

ერთი წლის ანგარიში

ახალი წლის მიჯნაზე ჯამდება ჩატარებული სამუშაოები, ისახება მომავლის გეგმა. ტრადიციას არც ამჯერად უღალატა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, კერძოდ, კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ ერთი წლის ანგარიში წარადგინა.

ვახტანგ მაისურაძემ 2023 წელს განხორციელებულ პროექტებსა და პროგრამებზე ისაუბრა: ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი და სხვა.

წლის განმავლობაში მერიის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამის 35 მუხლით 1 300 000 ლარის ფარგლებში 3 500 მოქალაქემ და 362 დევნილმა და იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა ისარგებლა.

მოეწყო 19 345 გრძივი მეტრი გზა. რეაბილიტირდა ერთი საბავშვო ბაღი და დაწყებულია 8 საბავშვო ბაღის მშენებლობა. მიმდინარეობს ერთი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, ერთი საჯარო სკოლის დემონტაჟი და მის ადგილზე ახლის მშენებლობა.

მოეწყო 9 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, 14 სავარჯიშო სივრცე და ერთი ღია საჭიდაო არენა, 3 დასასვენებელი სკვერი და სხვა.

მუნიციპალიტეტის მერმა საზოგადოებას 2024 წლის გეგმები გააცნო, მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისა და თანადგომისთვის მოსახლეობას, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ჩატარებულ სამუშაოებს პერმანენტულად გავაცნობთ მკითხველს.

საახალწლო ნობათი

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის მოადგილემ ზურაბ კოპაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა საახალწლოდ მრავალშვილიანი შეჭირვებული ოჯახები, მარტოხელა მოხუცები და დედმამითობოლი ბავშვები მოინახულეს. ოჯახებს საახალწლო ნობათი გადასცეს, შობა და დამდეგი ახალი 2024 წელი მიულოცეს. საახალწლოდ ტკბილეული და ხილი უმწეო მოქალაქეთა უფასო კვების სასადილოს ოთხმოცმა ბენეფიციარმაც მიიღო.

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა რწმუნებულის მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოების თავმჯდომარეებთან ერთად 2023 წლის საქმიანობა შეაჯამა. რწმუნებულმა 2023 წელს წარმატებით განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ განხორციელებული პროექტების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი საქართველოს მასშტაბით მოწინავეა.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ მაისურაძესთან და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან ერთად კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ათი წარმატებული თანამშრომელი დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისათვის.

დაჯილდოვდნენ: საფინანსო საბიუჯეტო სამსახური: რუსუდან მაზმიშვილი და მაია ქენქაძე, ეკონომიკის განვითარების სამსახური: ზურაბ შოთნიაშვილი, ადმინისტრაციული სამსახური: ილია ნონიაშვილი, ჯანდაცვა და სოციალური სამსახური: თეონა კოტიაშვილი, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური - დავით ბერიანიძე, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური - ნუნუ ელბაქიძე, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური - გოდერძი მარიდაშვილი, იურიდიული სამსახური - თამარ მენაბდიშვილი, ზედამხედველობის სამსახური - მაია ნონიაშვილი და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი შორენა მუსელიანი.

მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებთან შეხვედრა

კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს შეხვდნენ.

ვახტანგ მაისურაძემ და შოთა ბეგლარაშვილმა ირაკლი დემეტრაშვილს და ბაქარ ერაშვილს (ძიუდოვილს (ტაეკვონდო - მწვრთნელები ალექსანდრე მანძულაშვილი და ლევან მამულაშვილი) მიულოცეს ახალი წელი და მიღწეული წარმატებები. ასევე, სამომავლო მხარდაჭერა გამოუცხადეს.

სპორტსმენები მწვრთნელები: ნუგზარ და სოსო მამულაშვილები), ნიკოლოზ ქენქაძეს და გიორგი ახვერდოვს (კრივი - მწვრთნელი ოთარ თოიძე), თამარ აზმაიფარაშვილს და თამაზ კაციაშ- და მწვრთნელები დაჯილდოვდნენ მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს კასპის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისებას.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ხშირად თოვლი არის ფერმწერთა შთაგონებისა და განწყობის შექმნის ინსპირატორი და საწყისი, სათავის დამდები, პირველი მუხტი. ტილოზე დატანილი თოვლიანი ზამთარი მაშინ ზამთრობს და ზამთარხმელობს. ჯერ თვით მასში, შემსრულებელში, ფერთამსახველში, რადგანაც რაგინდარა მერამდენე ნახატი ავტორისეულ ძველ და ნაცად ხელწერას ემორჩილება, ანუ, თვითონ ფერთამწერელს ჩამოგავს. რამდენი დიდებული ნახატია, რომელსაც ავტორის ხელმოუწერლად შევიცნობთ, განა, არა?! მერე არის და ნახატიდან გადმოსული მშვენიერება უკვე მნახველის, თვალშემვლების, შემფასებლის გონსაწიერში ივანებს და იფილტრება, ანუ ამ ჯერზე უკვე "საკუთარ" ზამთრებს გაგვახსენებს, ცხოვრებაში ბავშვობიდან რომ გაგვითავისებია.

ჰო, ზამთრიანობა და დიდთოვლიანობა დიდებსაცა და პატარებსაც პირადული ანდამატურობით იზიდავს, თავის თეთროვან და თეთრგულა სამოსელ-საბურველში გამოახვევს, თავზე დიადემასავით დაეფიქება. სხვათა თვალით შეახედებს გარემოსა და შემოგარენს, ბუნების ორფეხა თუ ოთხფეხა შვილებს სხვადასხვანაირად დაანახვებს, შინაგანად განწმენდს, საკუთარ სიქათქათესა და სპეტს (სისპეტაკეს) მეტი წონადობითა და ფერადოვნებით გამოკვეთს, ლამის ფიზიკურად შესაგრძნობს გახდის.

ვერავინ აწონდაწონის, ზამთარს, როგორც ბუნების მარადმოცვალე დროს, რომელი მხარე უფრო ემიჯნურება — მამაკაცური თუ დედაქალური? მამაკაც ფერმწერებს მეტად მოუხდიათ ხარკი მისთვის, თუ ე. წ. "სუსტი სქესის" ფრთას?

მოდი, შევთანხმდეთ, რომ ამჯერად მხოლოდ ქალ-ფერმწერთა მარჯვენით, თვალითა და გულით აღქმულსა და ნაჩვენებ პალიტრასა და ჩარჩოებს დავაზამთრებინოთ.

წინარე საუკუნეში მეტ-ნაკლებად სახელჩენილი ქალ-ფერმწერებისა და გრაფიკოსების ვინაობასა და მათ შემოქმედებას (თამარ აბაკელია, ეთერ ანდრონიკაშვილი, ელენე ახვლედიანი, ეკატერინე ბაღდავაძე, ბელა ბერძენიშვილი, ნათელა იანქოშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, დინარა ნოდია, ნატალია ფალავანდიშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი, ანა შალიკაშვილი, ცისია შანშიაშვილი, ლორეტა შენგელია-აბაშიძე, რუსუდან ჯავრიშვილი და ბევრი სხვა) თვალს თუ გადავავლებთ, ჩვენს თვალსწიერზე უპირველესად ამოტივტივდება, წარმოისახება სახე(ლი) პეიზაჟური ზამთრის უბადლო ოსტატისა: ელენე ახვლედიანი! საქართველოს სახალხო მხატვრის, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ფერწერულ მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ციკლს "ზამთარი".

ჩვენებურ ფერმწერთაგან როგორ არ გავიხსენოთ, ასევე, სახალხო მხატვარი, ცნობილი პორტრეტისტი და პეიზაჟისტი რუსუდან ჯავრიშვილი. მისი ნამუშევრების ფოტოალბომში (გამ-ბა "ხელოვნება", 1990 წ. ქ. თბილისი) შესული 120 ნახატის რეპროდუქციიდან ზამთრის მოტივებზეა სამი: "ზამთარი", "თოვლი ფასანაურში" და "ზამთარი მესტიაში".

21-ე საუკუნის განვლილ ოცწლეულში გამოჩნდა არაერთი ქალი-ფერმწერი, რომლებიც, ასევე, ფერადი გამებით უმღერიან ზამთარს.

საინტერესოა, ამ მხრივ რა ხდება უშუალოდ საჩვენოში, განა აღარ გვყავს ზამთრის მეხოტბენი?

ამჯერად მხოლოდ ერთ ახალგაზრდა შემოქმედი ქალბატონის შესახებ გიამბობთ.

თოვლიანი პალიტრა

ელენე ბარნოვი: - ზამთარი, რომელიც ბავშვობიდან მომყვება...

საკუთარ თავზე საუბარი ძნელია, მაგრამ შევეცდები. ჩემი პატარაობიდან დავიწყებ, რადგანაც ზამთარი, რომელიც ძალიან მიყვარს, ბავშვობიდანვე მომყვება. ამისი თქმა შემიძლია, როგორც ზოგად ბუნებრივ მოვლენაზე. ამასთან, ერთ კონკრეტულ ფაქტსაც უკავშირდება.

ვხატავ ბავშვობიდან. თავი რაც მახსოვს, იმ დროიდან მოყოლებული. სადაც კი შევიდოდი, მოხატულ კედლებს ვეძებდი. ასეთს თუ ვნახავდი, ვათვალიერებდი და ძალიან მსიამოვნებდა. დედ-მამამ ჩემში ასეთი ინტერესი შენიშნეს და თვითონაც დაინტერესდნენ, ჩემეული გატაცება გაითავისეს. მახსოვს, რამდენჯერმე წამიყვანეს თბილისში, როცა შედარებით მოვიზარდე, სხვადასხვა გამოფენაზე. მათ დიდი ამაგი დამდეს, ბიძასთან (დედის ძმასთან) ერთად, ერთხელ რიყეზე მოვხვდით. იქ შემიძინეს "ზამთრის პეიზაჟი". სამწუხაროდ, ავტორის ხელმოწერა არ გააჩნია და მისი ვინაობა ვერ დავადგინე. ამ სურათს დღემდე სასოებით ვინახავ, შინ კედელზე მიკიდია. ჩემს პატარაობას მახსენებს. შემიძლია, ყოველდღიურად შევავლო თვალი და ისევ ძველდროების ნოსტალგია მიახლდება. ის ხომ ბიძაჩემის ხსოვნასაც ინახავს. მე და ჩემი და, ელგა, მის ოჯახში გავიზარდეთ. ის გარდაცვლილია. გული მწყდება, ჩვენს გვერდით აღარაა. მთელი ჩემი ბავშვობა ბებო-პაპასთან გავატარე. მათგან დიდი სიყვარული მომყვება, რადგანაც მათი წყალობით მქონდა ბედნიერი ბავშვობა... აი, როცა ამ ნახატს ვუყურებ, თითქოს ყველა წასულ ჩემიანს ისევ ცოცხლად ვხედავ.

დავიბადე 1976 წლის 15 ოქტომბერს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალციხეში. 1993 წელს დავამთავრე მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, 1997-ში კი ქ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 2006 წელს გავხდი ქ. თბილისის გადამზადების ინსტიტუტის კურსდამთავრებული და მომენიჭა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (შრომის) მასწავლ;ებლის კვალიფიკაცია.

პედაგოგიური საქმიანობა დავიწყე სოფელ ახალციხის საბავშვო ბაღში, სადაც შინაურულ გარემოში აღმოვჩნდი (ბავშვობის დაუვიწყარი პერიოდი მის კედლებში მქონდა გატარებული). 2009 წლიდან გადავედი სკოლაში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად.

ეს ის სკოლაა, რომელიც ჩემი იყო, არის და მუდამ იქნება!

აქ მყავს სადამრიგებლო კლასები. ვასწავლი პირველი კლასიდან მეთერთმეტის ჩათვლით. პარალელურად, ხატვის წრეს ვხელმძღვანელობ სასოფლო კლუბში.

ბოლო ორი წელია (კოვიდშემდგომი მძიმე პერიოდის შემდეგ), რაც ვმონაწილეობ მუნიციპალურ და საქალაქო კულტურულ ღონისძიებებში:

— 2023 წლის მაისში ქალთა საგაზაფხულო გამოფენაზე წარვადგინე სხვადასხვა ჟანრის 15-მდე ნამუშევარი, რომელთა შესაქმნელად გამოვიყენე: ზეთის საღებავები, აკვარელი, ტუში, აკრილი, ფანქარი... თითქმის ერთთვიანი გამოფენა დამამახსოვრდა მისი მოწყობის ორგანიზატორებისა და დამთვალიერებელთა მხრიდან გამოვლენილი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით, ახალი კოლეგების გაცნობით;

— ოქტომბერში ვმონაწილეობდი "კასპობის" დღესასწაულში. ქალაქის მთავარი მოედნის წრიული მწვანე სივრცის ცენტრში თავმომწონეობდა ჩემი "შემოდგომის დედოფალი". იგი საგანგებოდ შევქმენი ზეიმის წინა საღამოს. შემოდგომა განვასახიერე ქალის ფიგურით, რომელსაც ემოსა ნაირფერი ფოთლებით აჭრელებული კაბა, ხოლო ხელები განზე გაეშალა და თითქოს მზდ იყო ახლო-მახლო გამვლელი დიდ-პატარის ჩასახუტებლად;

— ივნისში ჩემი მოსწავლეების (ახალციხელი გოგო-ბიჭების) ნახატების გამოფენას უმასპინძლა ქ. კასპის კულტურის ცენტრმა. ეს მოხდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. გულახდილად ვიტყვი, ამასთან, დიდი მადლიერების ნიშნად: ახალბედა და დებიუტანტი მოსწავლე-მხატვრებისათვის ამგვარი საჯარო წარდგენება სტიმულისა და წახალისების კარგი საშუალება და, თავისთავად, დაუვიწყარი მომენტია. ამიტომ მადლობა ყველას — ჩვენი საქალაქო გამოფენის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს;

— გასული ზაფხულის განმავლობაში სასკოლო არდადეგების პერიოდში, არ გამოვსულვარ და არ მოვწყვეტივარ საგანმანათლებლო სივრცეს. საქმე ისაა, რომ ქ. კასპის პროფესიული კოლეჯის ხელმძღვანელთა მიწვევით, რამდენიმე სახელოვნებო მასტერკლასი გავმართე ადგილობრივი და საჯარო სკოლებიდან მიპატიჟებული ახალგაზრდებისათვის. მათ სამუშაო მასალად გამოიყენეს თიხა. თავიანთი ფანტაზიითა და მოგონებებით შექმნეს ფრიად საინტერესო ნაკეთობანი საშობაო თემაზე — "ფერადი ანგელოზები". ასევე, ახალგაზრდული ჯგუფი "კომლის" თხოვნით გააკეთეს და მორთეს დეკორატიული ნაძვის ხე.

ამჟამად უმეტესად მინიატურებს ვქმნი. მათ ერთი დატვირთვა დავაკისრე: იმ ოჯახის პერსონაჟებს დავამსგავსო და მივუსადაგო მათთვის სახასიათო ნიშნები, რაც თვითონვე მოსწონთ. ცხადია, საკუთრივაც ვურთავ და ვამატებ ისეთებს, რომლებშიც, შესაძლოა, აისახოს ყოველივე ეს გარემოს ფერებსა და ფიგურებში, ქმედებებში.

ამის გამო, რომ სურათი იმდენად თბილი და ჰარმონიული გამოდის, რომ ადრესატები თუ დამთვალიერებლები აღტაცებას გამოთქვამენ და ნამუშევარს ამდაგვარად მახასიათებენ თუ მიფასებენ:

— ელენე, ნახატებიდან შენი ხასიათი გადმოდის!

ჩემს ერთ ნახატზე საგანგებოდ შევჩერდები: "მოლოდინი" — ასე ჰქვია. აი, როგორმა შემთხვევამ მიკარნახა მისი შექმნა:

ნამუშევარი შევასრულე ჩემი ბიძაშვილის შეკვეთით, ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მის ოჯახს სტუმრად ვეწვიე, მეუღლე ორსულად ჰყავდა. ანუ, ორივე მოელოდა ახალნამატს, რომელიც მეორე ანგელოზად უნდა შემოსულიყო მათ ოჯახში. მთხოვა, — ელენიკო, ნამდვილი მხატვარი თუ ხარ, ჩემი სულიერი მოლოდინი დამიხატე!

როგორი მომენტია: არის განცდა მომავალი ბედნიერებისა და, თან, ჩართულია მოლოდინის რეჟიმი... ჰოდა, გონებაში წარმოსახული გადავიტანე ტილოზე: წინ მაბიჯებს პატარა და ხელში უკავია შობის ყვავილი, რომელიც წითლად ღვივის. გოგონა, რომელიც უკვე ჰყავდათ, ოთხეულის ბოლოშია. ოჯახის თავკაცი პროფესიით მუსიკოსია და კლარნეტი ამიტომ გაჩნდა ნახატზე, მის მხარზე. აი, მეუღლე კი, რომლის ფიგურა ფიზიოლოგიურად გამოკვეთილია, წითელი კაბითაა. ანუ, გამოვიდა რა: ქალის კაბა და შობის ყვავილი ერთ ფერშია მოაზრებული, ცეცხლოვანი წითელი ნათება ახალი სიცოცხლის საწყისის სიმბოლოა.

თვითონ ჩემი სოფელი და აქაურები არიან ჩემი წარმოსახვის შთამაგონებლები. ახალციხის თავზე თუ აქაურ მიდამოებში ზამთარი იმგვარად ჩამოიყურსება, თითქოს ზეციდან მარტო თოვლი კი არ ჩამოდის, გეგონება, თვითონ ცა დაბლდება ადამიანთა სამყოფელამდე, სოფლელთა სადგომებამდე და მათ სახურავებზე ბინადრდება.

აი, ასე წარმოვსახე სოფლად ჩამომდგარი, ჩამოსტუმრებული ზამთარი, როცა კვამლი ამოდის თითოეული ოჯახის თბილი საკვამურიდან. "შობის მოლოდინში" — ამაში გადმოვეცი ავტორისეული დამოკიდებულება: დათოვლილი საცხოვრისიდან შუქის ნათელი გამოდის და თითქოს შიგნით დასუფევებულ

დასასრული გვ7.

წინაპართა ნაკვალევზე

წინაპართა ნაკვალევზე კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (მენეჯ. ლ. პეტრიაშვილი) მხარეთმცოდნეობისა (ხელმძღ. ნ. მერებაშვილი) და შემოქმედებითი წრის (ხელმძღ. მ. ყაბანაშვილი) მოსწავლეებმა დაათვალიერეს ახალქალაქისა და გარიყულას ღირსშესანიშნაობები. საქართველოს ოდითგანვე ჰყავდა გმირები, რომლებიც ხალხს საუკუნეების მანძილზე ზნეობის მაგალითს აძლევდნენ. ერთ-ერთი ასეთი გმირი იყო წმინდა მოწამე თევდორე მღვდელი-კველთელი, ბერი, რომელმაც ქართულ მიწას ანაცვალა თავისი სიცოცხლე. მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს თევდორე მღვდლის (მოქანდაკე დ. ნავროზაშვილი) ბიუსტი, სანთლები დაანთეს და ქართველი პოეტების შემოქმედებიდან წაიკითხეს ლექსები. გარიყულაზე ისმოდა მოსწავლეების: ბარბარე ჩარაევის, უჩა გოგოლაძის, მარიამ ყაზარაშვილის, ლიზი ხუციშვილის, ნინო გაბოშვილის, ნინი და შანშე ჩიტიშვილების ხმები... "მამაო, სიმღერა ხარ შეწყვეტილი, მამაო, სანთელი ხარ დამწვარი, ლომი ხარ ქართველობას შეწირული და კრავი, ქრისტეს ზვარაკი."

თევდორე მღვდლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პედაგოგმა მ. ყაბანაშვილმა, ასევე მსმენელთა ყურადღება გაამახვილა სოფლების (ახალქალაქი, მეტეხი, ერთაწმინდა...) ტოპონიმებზე.

ექსკურსიის მონაწილეებმა დაათვალიერეს არტვილა-გარიყულა-ყოფილი ბელეცკების სახლი-აგარაკი. მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა მოსწავლეებს მოუთხრო აგარაკის მფლობელების, პოლონელი მამა-შვილის კონსტანტინე და ვასილ ბელეცკების ისტორია. დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ეზოში განლაგებულმა ქვითა და მეტალით დამზადებულმა ფიგურებმა, სახლის სახურავზე ასკუპებულმა მამალმა და სხვ.

საინტერესო სანახავი იყო ''თარხნიაანთ მარანი'', ქვითკირით ნაშენი თახჩებითა და უძველესი ქვევრებით დამშვენებული. მეტად შთამბეჭდავი იყო ამავე ოჯახში დაცული ნახშირით შესრულებული გიორგი სააკაძის პორტრეტის ნახვა, თითქოს ყველას თვალწინ გაცოცხლდა დიდი მოურავი, რომელსაც ქართლის მიწა ჩოხის კალთით დაჰქონდა და საქართველოს რჯულისათვის ათასგზის იყო წამებული. ექსკურსიის მონაწილეებმა გაოცება ვერ დაფარეს მარშლიაანთ სასახლის ხილვისას. დავით და ალექსანდრე თარხან-მოურავთა მიერ აშენებული სასახლე მეცხოვნესავით ამაყად დგას მაღლობზე და გადასცქერის "მეფის ქალაქს."

მოსწავლეებმა ყურადღებით მოუსმინეს ეკატერინე თარხან-მოურავთა შთამომავალს ქ-ნ მაია სურვილაძეს, რომელმაც ვრცლად ისაუბრა მარშლიაანთ სასახლის შესახებ. მან დაათვალიერებინა წინაპართა ფოტოები, რელიქვიადქცეული ნივთები, სარკეებიანი ჭერი, ჩინური

ჩაის კოლოფის მიხედვით გაფორმებული ბარიატინსკის ოთახი, სადაც აკაკი წერეთელი ხშირად ისვენებდა და ერთ საღამოს ლექსი "ვიშ, ამ საღამოს, ტურფას, საამოს"- დაუწერია. ერთ დროს კულტურის კერადქცეულ მარშლიაანთ სასახლეს, გაწყობილს ბუხრებითა და შადრევნით, საიდანაც ხან წყალი და ხან ღვინო ჩქეფდა, დრომ თავისი კვალი დაატყო, თუმცა რაც შემორჩენილია, იმას დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი. მოსწავლეებმა ინტერესით დაათვალიერეს ახლადგახსნილი ჩოგბურთის საერთაშორისო მნიშვნელობის კორტები. კასპის №4 საჯარო სკოლის პედაგოგებმა გულო გიგაურმა და ქეთევან რაზმაძემ, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამოქალაქო განათლების წრის ხელმძღვანელმა ქეთევან გეჯაძემ, სპეციალისტმა ჟუკა მამულაშვილმა, მშობლებმა მარიამ კანთელაშვილმა და ნონა ბარნოვმა მადლობა გადაუხადეს ექსკურსიის ორგანიზატორს ნანა მერებაშვილს თემმისხევის ისტორიული კუთხის მონახულებისა და გმირ წინაპართა გახსენებისათვის. შინაარსიანი და შთაბეჭდილებებით დატვირთული დღე დასრულდა მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარში.

***

მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს „კასპელექტროაპარატის" ტერიტორიაზე არსებული უშანგი მოსიაშვილის სახელობის მუზეუმი „საქართველოს მატიანე," სადაც წარმოდგენილია მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილისა და ბატონ უშანგი მოსიაშვილის ნახატები. მხატვარ ალ. ციხელაშვილის ნამუშევრებში ქართველი ერის გმირული წარსულია ასახული, უძველესი დროიდან დღემდე. ნახატების დათვალიერებისას მოსწავლეებმა გაიხსენეს ქართველი ერის გაქრისტიანება, დიდი მოურავის საარაკო ბრძოლები, თევდორე მღვდლის თავდადება, ცხრა ძმა ხერხეულიძე და სხვა.

ათვალიერებ ფერწერულ ტილოებს და თითქოს კითხულობ ,,ქართლის ცხოვრების სისხლიან ფურცლებსა და ჩაგესმის საბრძოლო ყიჟინა იმ ქართველი გმირებისა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ,,არრა არის რა უფრო დიდი, უფრო მაღალი, როგორც საყვარელ მამულისთვის თავის დადება."

მოსწავლეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს უ. მოსიაშვილის ქართველ მეფეთა პორტრეტები: მეფე თამარი, დავით აღმაშენებელი, პატარა კახი და სხვანი. იმზირებოდნენ ნახატებიდან და მოძღვრავდნენ შთამომავლობას, რომ მათ მიერ დღემდე მოტანილ წმინდა სამებას „მამულს, ენასა და სარწმუნოებას" გაფრთხილებოდნენ და ეპატრონათ. მოსწავლეთა სახლის პროექტის „შევისწავლოთ ჩვენებურები"-ს ფარგლებში პედაგოგმა მ. ყაბანაშვილმა დამსწრეთ გააცნო უ. მოსიაშვილის ლექსების კრებული „მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე!"

მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ვრცლად ისაუბრა უ. მოსიაშვილის ბიოგრაფიასა და იმ ღვაწლის შესახებ, რაც მას მიუძღვის როგორც მშობლიური კასპის, ასევე ქვეყნის წინაშე. კასპის №4 საჯარო სკოლის პედაგოგმა გულო გიგაურმა აღნიშნა, რომ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. თითოეული ნახატი ისტორიულია, საოცარი აზრისა და იდეისაა, აღსანიშნავია ასევე ფერთა პალიტრა. მადლობა მხატვარ ალ. ციხელაშვილსა და განსაკუთრებული მადლიერება ბატონ უშანგი მოსიაშვილს, რომელმაც საშვილიშვილო საქმე გააკეთა და დააარსა მუზეუმი „საქართველოს მატიანე", რომელსაც იმედია, ბევრი დამთვალიერებელი ეყოლება, განსაკუთრებით კი დაინტერესდებიან მოსწავლე-ახალგაზრდები. ბოლოს, ექსკურსიის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ს/ს ,,კასპიელექტროაპარატის" დირექტორს ბატონ კობა მოსიაშვილსა და კომერციულ დირექტორს დავით მოსიაშვილს გულთბილი დახვედრისა და შინაარსიანი დღისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება

გზამკვლევი ისტორიის ლაბირინთებში

სახელობითი ოლიმპიადა

მთელი ცხოვრების მანძილზე გამორჩეული მასწავლებლები გამორჩეულ ადგილს იკავებენ, ისინი ჩვენი მარადიული თანამგზავრები ხდებიან და გვიმსუბუქებენ გზასავალს. ასეთი მასწავლებელი იყო ნინო ბურდული. მისი ხსოვნის პატივსაცემად კასპის სკოლა-გიმნაზიაში (დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი) გაიმართა ისტორიის ოლიმპიადა.

ეს იყო დიდი ემოციით, დიდი სიყვარულით გაჯერებული დღე. იმედიანი დღე, იმედი უკეთესი მომავლისა და ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ბავშვებმა.

წარმოგიდგენთ გამარჯვებულ მოსწავლეებს:

საბაზო საფეხური:

I ადგილი - ნია ქეშელაშვილი, სოფ. წინარეხის საჯარო სკოლა.

II ადგილი - გიორგი შუკაკიძე, სოფ. ოკამის საჯარო სკოლა.

III ადგილი - დაჩი მარიდაშვილი , კასპის სკოლა-გიმნაზია.

საშუალო საფეხური:

I ადგილი - ლუკა ტერტერაშვილი, კასპის სკოლა-გიმნაზია.

II ადგილი - მარიამ შარიქაძე, კასპის სკოლა-გიმნაზია.

III ადგილი - ეკატერინე ნონიკაშვილი, სოფ. კავთისხევის საჯარო სკოლა.

ოლიმპიადის დაჯილდოებაზე დასახელდნენ თეა კორინთელის, თამარ ნიპარიშვილის, ნინო ბურდულის დისშვილებისა და საზოგადოება "კომლის" რჩეული მონაწილეები, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევის, კასპის №3 საჯარო სკოლისა და კასპის სკოლა - გიმნაზიდან. მათ გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, "ბიბლუსის" ვაუჩერები და ბანაკის მოსაწვევი!

გამოვლინდა ნინო ბურდულის შვილის შორენა ხუციშვილის ნომინანტები. ისინი დაჯილდოვდნენ, "ელიტ მედის" 100 - ლარიანი ვაუჩერებით. გამარჯვებულებისათვის განსაკუთრებული და ძვირფასი საჩუქრები დააწესა თინათინ აბულაძემ და მისმა წიგნების მაღაზიამ "მწიგნობარი".

გამარჯვებულებისთვის 150, 100 და 50 - ლარიანი "ბიბლუსის" ვაუჩერები დააწესეს ნინო ბურდულის ბოლო სადამრიგებლო კლასების ბიჭებმა, გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა: დავით მოსიაშვილმა, გიგა სპარსელაშვილმა, თაზო მცურავიშვილმა.

მადლობა სოსო ჯოჯიშვილისა და თამუნა ალექსიძის ოჯახს, მათ გამარჯვებულს გადასცეს "ბიბლუსის" 100 - ლარიანი ვაუჩერი და საახალწლო ნობათის კალათა.

მადლობა ნინო ბურდულის ყოფილ მოსწავლეს, იურისტს სოფი ქურთაულს, მან საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის ბროლის ჯილდოები და საჩუქრები გამოაგზავნა.

ნინო ბურდულის შვილმა შორენა ხუციშვილმა, საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის მთავარ პრიზად ბროლის ჯილდოები წარმოადგინა.

ლია სოზიაშვილმა და სოფო დანელიამ საშუალო საფეხურის პირველი ადგილის მფლობელს ფულადი ჯილდო გადასცეს.

გიმნაზიის დირექტორმა ბესიკ ნიპარიშვილმა საშუალო საფეხურზე პირველი ადგილის მფლობელს, ლუკა ტერტერაშვილს, გიმნაზიაში სწავლა 500 ლარით დაუფინანსა.

გამორჩეული აღნიშვნის ღირსია ჟიურის შრომა და თანადგომა. ჟიურის წევრები იყვნენ: ეკატერინე ცინცაძე, ნინო ხერკელაძე, ნანა ქსოვრელი, ილია ბერიანიძე. განსაკუთრებული მადლობა ჟიურის თავმჯდომარეს, ძვირფას ადამიანს, ქართული "ვიკიპედიის" რედაქტორს, ისტორიკოსსა და 2018 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტს ჯაბა ლაბაძეს. ამ ადამიანმა, გარდა ჟიურის თავმჯდომარეობისა, სპეციალური

დასასრული გვ7.

მზეების გულში ჩახუტება

კასპელი მეორე-ბაღელი გოგო-ბიჭები შინ დაბრუნებისთანავე მშობლებს მიახარებენ ხოლმე — ნანა მასწავლებელმა სიმღერა გვასწავლა!

— ნანა მასწავლებელმა ახალი სიმღერა დაგვიწერა!

— დედიკო, იცი, ნანა მასწავლებელთან ერთად ვიმღერეთ!

ზოგიც მათ გამოსაყვანად ბაღის ჭიშკართან მანქანით მისულ მამიკოებს კმაყოფილებით მიახარებს:

— მამიკო, ნანა მასწავლებელმა თვითონაც იმღერა და ჩვენც გვამღერა!

... აქ ასეთი ამბები ხშირად ხდება. ყოველი კვირეულის სადაგი დღეებიდან ერთი მაინც გამოერევა ისეთი, პატარების მხრიდან მშობლებს "მისამღერის" თაობაზე არ მოხსენდეთ.

საბავშვო ბაღიდან გამოყოლილი კმაყოფილება ბავშვებს როცა შინამდე მიყვებათ, ღამის სიზმრებსაც უფერადებს და მომდევნო დღის დილით ბაღისაკენ ისევ მიუხარიათ, ასეთ დროს უფროსებიც კმაყოფილების გრძნობით ივსებიან და პირმშოებს დიალოგს უმართავენ:

— მოდი, ვნახოთ, რა დაისწავლე, აბა, მეც მიმღერე!

— ახლავე, მამიკო!

— მართლაც კარგია. მერედა, რაო, შენმა ნანა მასწავლებელმა?

— გაუხარდა, როცა ვუთხარი, — მიყვარხარ, ნანა მასწავლებელო. შეიძლება, ჩაგეხუტო? ჩავეხუტე და მანაც გულში ჩამიკრა!

... თქვენ, ალბათ იტყვით და კიდეც იკითხავთ, — ძალიან კარგი, მაგრამ ვინ არის ნანა მასწავლებელი, ვის შესახებაც მეორებაღელი აღსაზრდელები ესოდენი აღტაცებითა და ბავშვური განცდებით მოიხსენიებენ? რა თილისმა აქვს ისეთი, რომ პატარები სიყვარულში უტყდებიან და გულში ჩახუტებას სთხოვენ?

***

პატარებისათვის გამორჩეულ ნანა მასწავლებელს წარმოგვიდგენს ქ. კასპის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი:

— ჩემთვის დიდად სასიამოვნოა პროფესიონალ მუსიკოსთან თანამშრომლობა. ამას ვაცნობიერებ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით. წლების განმავლობაში თვითონაც ვპედაგოგობდი მუსიკის სფეროში. ამიტომაა, რომ ახლა, ჩემი სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე, მეტად მომთხოვნი ვარ ჩვენს ბაგა-ბაღში გამართული ყოველი მუსიკალური აქტივობისადმი.

ჩვენი ბაღის კოლექტივი 4 წლის წინ დატოვა მუსიკის მასწავლებელმა, ნიჭიერმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა ნინო მერებაშვილმა. ჩემთვის საფიქრალი და სადარდებელი იყო, თუ ვის დანიშნავდნენ და გამოგვიგზავნიდნენ, ნინოს ნაცვლად, ბაღში მუსიკის მასწავლებლად.

ნანა აღაპიშვილის მოსვლისთანავე საბავშვო ბაღში სტაბილურად განახლდა მუსიკალური აქტივობები.

საქმე ისაა, რომ ნანა მასწავლებელი წერს შესანიშნავ საბავშვო სიმღერებს.

დიახ, გაბედულად შეიძლება იმის თქმა, რომ ამჟამად ბაღში გვაქვს კარგი საბავშვო რეპერტუარი.

ჩვენი პატარები სიამოვნებითა და ხალისით მღერიან ქართულ სიმღერებს. ყოველი ღონისძიებისათვის მოწვეული სტუმრები ერთხმად აღნიშნავენ მის მაღალ პროფესიონალიზმს და გასაოცარ საშემსრულებლო მანერას.

დიახ, ყველას ძალიან მოგვწონს ნანა აღაპიშვილის საავტორო სიმღერები. ეს კი დასტურია იმისა, რომ მან ნამდვილად გაამართლა ჩვენი იმედები.

***

გაიზარდა ქ. თბილისში, დედმამიშვილებში უფროსია. საგვარეულო წარმოშობით, მამისა და დედის მხრიდანაც, წმინდაწყლიანი კავთურისხეობელია. ვერასოდეს წარმოიდგენდა, არა თუ სოფელში, კასპში თუ იცხოვრებდა. მაგრამ მოხდა მისი სურვილების საწინააღმდეგო რამ და ახლა კასპშია მისი ოჯახური ნავსაყუდელი. რომელია მისი ოცნების დიდი ქალაქი, ცხოვრებას სად ისურვებდა? — ქვეყნად არის ერთი დედაქალაქი, სადაც დედმამიშვილებს ჭერიც გააჩნიათ: მას მოსკოვი ჰქვია! (შორს მისგან ყოველგვარი პოლიტიკური პათეტიკა). რამეთუ ასეთი რამ არ მოხდა, სინანულის გრძნობა უჩნდება. ცხოვრებისეული სხვა, ყველაზე დიდი, სინანული? — მუსიკალურ კონსერვატორიაში სწავლა ბოლომდე ვერ დაასრულა (გარკვეული მიზეზის გამო) — ოჰ, ცხოვრების მიერ შემოთავაზებული ეს მოულოდნელობანი, გაუთვალისწინებელი სიურპრიზები!

ახსოვს, როგორ არა და ახლა სიამოვნებით იხსენებს საკუთარ პატარაობას. მისთვის წარუშლელია საბავშვო ბაღის დროინდელი მოგონებები.

დედა მეგზურობდა იქაც და მუსიკალურ სამყაროსაკენ სავალზეც. მასში კარგად სიმღერის ნიჭი სწორედ დედამ შენიშნა.

ასე, ხუთიოდე წლისა იქნებოდა, თანატოლ ორ გოგონასთან ერთად მიიწვიეს საქართველოს ტელევიზიის სტუდიაში და მისი ცისფერი ეკრანიდან პატარა ნანამ ლამის მთელ ქვეყანას გააწვდინა ხმა.

დაახლოებით იმავე პერიოდში მოხდა მეორე, არანაკლებად დაუვიწყარი, შემთხვევა. მაშინდელი შთაბეჭდილება აქამდე გაუხუნარია, წლების მერეც არ გასვლია დრო და ყავლი, ნამდვილი თეატრალური სპექტაკლის ერთ შინაარსიან მოქმედებას ჩამოგავს, რეალურ სატელევიზიო შოუსაც არ ჩამოუვარდება (ეჰ, რატომ არ იყვნენ იქ ქართველი ტელეოპერატორები)!

მშობლებმა ბალტიისპირეთში მოგზაურობისას თან იახლეს. პატარა ნანა მათთან ერთად გამოჩნდა ქ. ვილნიუსის დიდი უნივერმაღის ცენტრალურ დარბაზში. იქაურმა ქერათმიანმა და თეთრმაპირისკანიანმა გამყიდველმა ქალიშვილებმა პირველად იხილეს ნამდვილი, ცოცხალი, მოსიარულე და მოტიკტიკე თოჯინა—გოგონა, რომელიც თავისი, კავკასიური ცხელი მზით გასხივოსნებული მუქი სახითა და კულულა შავი თმებით გამოირჩეოდა მოზიმზიმე იმდენ ხალხში და, თანაც, მღეროდა კიდეც წკრიალა ხმით, როგორც ბულბული, ანდა ტოროლა. სათამაშოების თაროდან თითქოს გადმოსულიყო "ბარბის" თოჯინა... არა და არა, ის იყო ქართველი თოჯინა—გოგონა, სახელად "ნანა"... ასეთი ვინმე ჯერ არსად, არასოდეს ეხილათ ვილნიუსელ ქალიშვილებს. ამიტომ დედ-მამას ხელიდან წარსტაცეს და უნივერმაღის სართულებზე ციმციმ გაიტაცეს — ფართო პუბლიკის წინაშე ამღერეს, შეაქეს, დაკოცნეს, ლამის თავისთან დაიტოვეს.

***

მერე მოუვიდა სერიოზული, საქმიანი, გულმოდგინე მეცადინეობების დროება: დედაქალაქის ჯერ №4 მუსიკალურ სკოლაში (დირექტორი და პედაგოგი თამაზ გადილია), შემდეგ — მუსიკალურ ათწლედში (ხელდასხმულობდა რევაზ კერესელიძე, ცნობილი კომპოზიტორის არჩილ კერესელიძის ძმა).

ორივე სამუსიკო სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, ისევე, როგორც საშუალო სკოლა (№8, ნაძალადევის რაიონში). ყველგან აქტიურობითა და მრავალმხრივი ნიჭიერებით გამოირჩეოდა. პირველი საკუთარი სიმღერა მასწავლებელს ჯერაც მეორეკლასელმა წარუდგინა.

კომპოზიტორ ნანა აღაპიშვილის საბავშვო სიმღერების გრძელ ჩამონათვალშია: "ნატვრისთვალი" (შთაგონების წყაროდ მოევლინა პატარა ძმა), "დედა ენა", "ფიფქები", "ფერია" ... სულ ცინცხალია "მზე იცინის" (ტექსტის ავტორი — შუშანა მგელაძე).

მასში ასეთი სტრიქონებია: მზემ თვალები გაახილა, იცინა და იცინა, ველზე ია შეამჩნია, ია თვალებციმციმა, მთის ფერდობზე გვირილები, ხვევნა-კოცნით დაღალა, შუქმანდილი მოახვია, გაზაფხული ახარა. ნაკადულიც მოიმღერის, თავანკარა, ენამზე, ჩიტუნებიც აჭიკჭიკდნენ ტყის საამურ ენაზე.

მუსიკოსს რომელიღაც პატარა კრებულში დაბეჭდილი ლექსი თვალში მოხვდა თუ არა, ნოტები თავისთავად მიება ერთმანეთს, როგორც პატარა სალექსო ნაკადული მოიმღეროდა... ვისთვის უნდა მიერთმია, მიეხარებინა, ესწავლებინა ახალი სიმღერა, თუ არა ბაღელი პატარებისათვის.

დიახ, უპირველესად საბავშვო ბაღია მისთვის საარსებო წყაროცა და ნაკადულიც. "ბაღი არის ჩემი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შთამაგონებელი, საფუძველიცა და მოტივაციაც" — ეს ნანა აღაპიშვილის სიტყვებია, სრული სიალალით წარმოთქმული.

საბავშვო დაწესებულებაში მუსიკის პედაგოგად მუშაობის კარგი გამოცდილების მქონეა: ჯერაც გასული საუკუნის ბოლოს, ყველაზე მძიმე პერიოდი რომ ედგა ქვეყანასა და ქართველობას, 10 წლის განმავლობაში პედაგოგობდა სოფელ ნორიოს (გარდაბანი) მუსიკალურ სკოლაში. მერე კასპში გადმოინაცვლა და 3 წელი გაატარა ჩვენი ქალაქის მეცემენტეთა შვილების საბავშვო ბაღში. და, აი, 2019 წლიდან იქაა, სადაც საჭირო დროს აღმოჩნდა საჭირო ადგილზე!

დიახ, ბავშვებთან ურთიერთობანი და სიყვარული (თუნდაც, ზოგადი გაგებით) გახლავთ მისი მუსიკალური შთაგონების ძირისძირი. ნეტარია ის წუთები, როცა მუსიკალური აკორდების გაჟღერებას პატარები გულისგულში დაახანებენ, როცა უთბილესი სიტყვით მიეახლებიან — მიყვარხარ, ნანა მასწავლებელო! როცა მიეფერებიან და ყურისძირში უჩურჩულებენ — ნანა მასწავლებელო, შეიძლება, ჩაგეხუტო?

აი, მაშინ ნანა მასწავლებლის ამღერებულ გულს ბაღის აქტივობათა დარბაზის ჭერქვეითიდან გაჭრა სურს, ეპატარავება, თითქოს დიდი ქალაქების ხალხით გადაჭედილი საკონცერტო დარბაზი დაეპყროს... აი, მაშინ გულით ნამღერი ისე მზეობს, როგორც მზე იცინის ცაზე. აი, მაშინ გრძნობს თავს ნაღდ მუსიკოსად, რომელსაც საყვარელი პატარა მზეების გულში ჩახუტება შეუძლია!

ოლიმპიური 2024: სწორება პარიზზე!

ქალაქი პარიზი არა მარტო ელისეის მინდვრები და მდინარე სენაა, არა მხოლოდ ტრიუმფალური თაღი, აუსტერლიცის ხიდი და ტროკადეროს მოედანია.

ქალაქი პარიზი მოდის, სილამაზისა და ჩაცმულობის ტენდენციებისა და მიმდინარეობათა დედაქალაქია. თანაც, არა მარტოოდენ საფრანგეთის მასშტაბით.

საფრანგეთის დედაქალაქი 2024 წლის ზაფხულში მსოფლიო სპორტის უპირველესი ქალაქის მანტიასაც მოისხამს. საქმე ისაა, რომ ივლის-აგვისტოს დღეებში ოლიმპიური თამაშების ეპიცენტრი გახდება!

"პარიზი – 24"-ის ოფიციალურ გახსნამდე დარჩენილ დღეებსა და საათებს უკვე ითვლიან მისი ორგანიზატორები, მომავალი მონაწილენი, დასწრების მსურველები იმასაც ამბობენ, – სასპორტო ღონისძიებების ყველა ბილეთი რეალიზებულიაო.

***

წლევანდელი ოლიმპიური თამაშები საერთო სათვალავით ოცდამეცამეტეა. ოლიმპიური საერთაშორისო კომიტეტისა და ფრანგული მხარის საორგანიზაციო კომიტეტის ერთობლივი განზრახვით, ოფიციალური გახსნა დაგეგმილია 2024 წლის 26 ივლისს. გასტანს 15 დღე და საზეიმოდ დახურულად გამოცხადდება 11 აგვისტოს (ამ დღეებში დაბადებულ ფრანგ გოგო-ბიჭებს, ალბათ, ზოგიერთი ბედნიერი მშობელი "ოლიმპიადას" დაარქმევს!).

ხუმრობა იქით იყოს და ისიც გავიხსენოთ, რომ პარიზმა ოლიმპიადას აქამდე ორჯერ – 1900 და 1924 წლებში უკვე უმასპინძლა. ამდენად, მესამე შემთხვევა საიუბილეოა, რადგანაც ეწყობა მეორიდან ზუსტად 100 წლის შემდეგ!

ფრიად ნიშანდობლივია კიდევ ერთი მომენტი: პარიზი ხდება მეორე ქალაქი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონის შემდეგ, რომელსაც ესოდენი პატივი 3-ჯერ რგებია!

მაშ, ჩვენი სპორტული ვაშა და დიდება პარიზს!

შეგახსენებთ პარიზული ოლიმპიადის დევიზს: "შექმნილია გაზიარებისათვის". აი, რა და როგორი სიმბოლური დატვირთვა მოუაზრებიათ მის ორგანიზატორებს, ამ ეტაპზე გამოცნობა სპორტის რიგითი გულშემატკივრისთვის რამდენადმე გაუგებარი რჩება... დაველოდოთ ცხელი ზაფხულის პარიზულ ივლისს, როცა ფრანგულ მიწა-წყალზე თავს მოიყრის 10500-ზე მეტი სპორტსმენი მსოფლიოს ყველა მხარიდან, კუთხიდან. ისინი 329 სასპორტო ღონისძიებაში გამოვლენ და წარმოადგენენ 32 სახეობას. ამ მხრივ მატებაა, ადრინდელ ტრადიციულ სახეობებს ორგანიზატორთა სურვილით დაერთვის 4 ახალი: სერფინგი, სკეიტბორდინგი, ბრეიქდანსი და კლდეზე ცოცვა.

***

ზემოთ შემთხვევით არ გვიხსენებია "ფრანგული წყალი". საქმე ისაა, რომ თვითონ მდინარე სენას დაეკისრება საპროგრამო დატვირთვა და როლი:

საზეიმო გახსნის სცენარის თანახმად, სპორტული დელეგაციების წევრებს შეკრებენ არა რომელიმე სტადიონის სივრცეში, არამედ სენაზე – სარბიელად დაგულებულია დედაქალაქის სავიზიტო ბარათად მიჩნეული, მის ფარგლებში მოქცეული მშვენიერი კალაპოტი. დელეგაციათა ოფიციალურ პირებსა და სპორტსმენებს, თავიანთი მედროშეებიანად, გადაიყვანენ აუსტერლიცის ხიდიდან ტროკადეროს მოედნამდე, 150-ზე მეტი დიდი ნავით. მარშრუტის საერთო სიგრძე 6 კილომეტრი იქნება. წარმოგიდგენიათ ასეთი სანახაობა?! ეს ხომ მშვენიერი სახილველი და შთამბეჭდავი ექსკურსია იქნება ყველა მონაწილისათვის. მათ მიეცემათ იშვიათი საშუალება – გზადაგზა დაათვალიერონ და მოიხიბლონ საფრანგეთის დედაქალაქის ისტორიული და არქიტექტურული ღირსშესანიშნაობებით.

სანაპიროს ზოლებიდანა და ხიდებიდან, მახლობელი შენობებიდან ოლიმპიადის გახსნის აღლუმის თვალმიდევნება შეეძლება ბევრზე ბევრ ადამიანს, ასე ვთქვათ, ცოცხალი რეპორტაჟის სახით.

აი, ამას ჰქვია თანამედროვე ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის ორგანიზება! იგი ნამდვილად შეესაბამება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შეჯიბრების მოდელის განახლების ძიებასა და "პარიზი – 24"-ის ორგანიზატორთა ინოვაციური გეგმების მხარეს.

***

კალენდარული 2024-ის სპორტული შეჯიბრებები ყველა ქვეყანაში (ცხადია, საქართველოშიც) იმგვარად დაიგეგმა და წარიმართება, რომ ეროვნულმა ნაკრებებმა მზაობის პიკს მიაღწიონ ოლიმპიადის პერიოდისათვის. პატარა საქართველოს სპორტსმენები, აქამდე გამართულ ოლიმპიადებზე მოპოვებული ჯილდოების რაოდენობით, აღემატებიან ზოგიერთი მრავალრიცხოვანი ქვეყნის წარმომადგენლებს. ხუმრობა ხომ არაა, საქართველოს 36 ოლიმპიური ჩემპიონი გამოუზრდია. როგორ, ქართველები თამასას პარიზში 40-მდე და ზევითაც ვითომ ვერ ასწევენ?!

***

ოლიმპიადა წელს უმთავრესი შეჯიბრებაა. მანამდე გასამართავი შიდა საქვეყნო ჩემპიონატები სწორედ მისთვის მზადების ნიშნით ეწყობა და ნაკრებების საბოლოო შემადგენლობის დადგენა-დაზუსტებას ემსახურება, საგარეო – თითოეული სარეიტინგო ნუმერაციისა და სალიცენზიო ქულების მოპოვებას.

ქართველი გულშემატკივარი, როგორც წესი, სასურველ წარმატებებს, უპირველესად, საჭიდაო სახეებიდან მოელოდება.

აი, წლევანდელი იანვრის გასულ დღეებში თავისუფალი სტილის მოჭიდვეთა ნაკრების წევრებმა ზაგრების (სლოვენია) "გრანდ სლემზე" მოსინჯეს ძალები. მოპოვებულია სალიცენზიო ქულები...

კარზეა მომდგარი კიდევ ერთი, თანაც, სად – თვით პარიზში! დიახ, 2-4 თებერვალს ნაღდი ჯახი გაჩაღდება ძიუდოისტებისა. ფრანგული ტატამი პირველად მოითელება "გრანდ სლემის" დონეზე. საქართველოს ნაკრები მზადაა იქ მეკვლეობისათვის. შემადგენლობა წინასწარ ცნობილია, უკვე დაასახელა ძიუდოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა და სპეციალისტთა საბჭომ. შერეული გუნდია, – ნაცადი და გამოჯეკილი, ოლიმპიადებგამოვლილი და, მეორე მხრივ, "იმედის ტალღის" მოჭიდავეებით დაკომპლექტებული.

აბა, გადავხედოთ გვარებს და ვის მეტი შანსი აქვს პარიზული პირველი მედლების მოდავლიანებისა, ისე ვიმარჩიელოთ შემოთავაზებული წყვილებით:

60 კილოგრამი – ლუხუმ ჩხვიმიანი და გიორგი სარდალაშვილი, 66 – თენგიზ ზირაქაშვილი და ლაშა ნადირაძე, 81 – დიმიტრი გოჩილაიძე და ვლადიმერ ახალკაცი, 90 – ლაშა ბექაური, 100 – ვარლამ ლიპარტელიანი და მიხეილ ჯაფარიძე, +100 კილოგრამი – საბა ინანეიშვილი და ირაკლი დემეტრაშვილი.

ჩვენეულ ლაშქარს საპარიზოდ ნაცადი კაპიტანი "ლიპო" მიუძღვის ისევ. როგორც ჩანს, ძველი გვარდიელი საოლიმპიადოდ კვლავ უმიზნებს. ერთიც, ფრიად გვაიმედებს წლის პირველივე საგარეო ტურნირზე ჩვენებური ირაკლი დემეტრაშვილის გამოჩენა.

ბურთის მეგობრები

ესენი ბურთის მეგობრები, ფეხბურთზე შეყვარებული ბიჭები არიან. ისევე, როგორც ათობითა და ასობით კასპელი, ათასობით ქართველი მათი თანატოლი... აგერ, ხუთი იანვრის ადრეული საათებია და ისევ სუსხავს. ბელურებსა და ნიბლიაჩიტებს ჯერაც არ მიუტოვებიათ მწვანე ნარგაობათა შესაყუჟი ნარი. ჯერ არც ქალაქის სტადიონის კარია ღია.

ესენი კი უკვე მის მწვანე გაზონზე დარბოდნენ, ვარჯიშობდნენ, ბურთს აგორებდნენ. არც სპორტული ჩაცმულობა და ეკიპირება დაეწუნებოდათ. ამდაგვარი ვარჯიშები – ინდივიდუალური ხასიათისა, არაგუნდური – მხოლოდ ფეხბურთზე განსაკუთრებულად შეყვარებულ სპორტსმენებს სჩვეოდათ და დღესაც ახასიათებთ.

ეს ლუკა ტორუაშვილია: – კაპიშონიანი თბილანა მოუსხამს. ეულად, კენტად ურბენს მოედანს. საერთო სიგრძე სულ მეტრობით დაუთვლია, ერთი წრე სამასთორმეტი მეტრია. რამდენჯერმე უკვე შემოურბენია. პირადულ რეკორდსაც ითვლის, ყოველ ჯერზე ვუმატებო. სტადიონთან ახლოს არ ცხოვრობს. 26 მაისის ქუჩიდან ("ზევით კასპიდან") მოკლეებზე ჩამოირბენს ხოლმე. ბურთი მისი მეგობარია. თავისიც აქვს, ნაჩუქარიც. 21 დეკემბერს, დაბადების დღეზე, თანაგუნდელი ამხანაგის დას მიურთმევია. რა სჯობს იმას, როცა ყურადღებიანი მეგობრები გყავს.

ლუკა ბურთს შვიდი წლიდან დაუმეგობრდა. ახლა მეხუთეკლასელია, პირველი საჯარო სკოლისა. თან საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობს. გიორგი მწვრთნელი ის კაცია, ვინც ქალაქის მთავარ გუნდსაც ავარჯიშებს. მალე ამანაც, იქნებ, იქ ითამაშოს, მერე... ბიჭი ოცნებობს, ანგარიშობს, სულ ითვლის და ვარაუდობს. მათემატიკაზე შეყვარებულ მოსწავლეებს ასე სჩვევიათ. ჰოდა, მასაც სასწავლო საგნებიდან მათემატიკა გამოურჩევია. ფეხბურთს კი დიდი ანგარიშიანობანი სჩვევია.

ბიჭი, ბურთი და რიცხვები – ჰა, როგორია! თქვენ რას იტყვით?

ეს კი 14 წლის ლაზარე ნონიაშვილია:

ზამთრის არდადეგები კასპში გაატარა, აქაურ პაპასთან ზურაბ ნონიაშვილთან. დრო უქმად არ დაუკარგავს, ყოველდღიურად სტუმრობდა კასპის სტადიონზე. ამჟამად თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის 2009-წლიანთა გუნდის მოთამაშეა. მწვრთნელი სპორტული ნორმატივების ჩაბარებას მოსთხოვდა დედაქალაქში დაბრუნებისთანავე, – აბა, ახალ წელს მოლხენამ ცუდად ხომ არ იმოქმედა, ფორმიდან ხომ არ ამოვარდითო.

ახლაც კასპში მისი დავალებისა და დარიგების შესაბამისად მოქმედებდა. სეკუნდანტობას სტადიონზე მამა უწევდა.

დავით ნონიაშვილი ვეტერანი ფეხბურთელია. თამაში კასპში დაიწყო და თბილისში გააგრძელა, მეცხრეკლასელი გადავიდა საცხოვრებლად. იქ სტუდენტური ფეხბურთი ითამაშა რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის გუნდში – ჯერ საუ–ში, მერე "მრეტებში", ბოლოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტისა, რომლის რექტორი ელგუჯა გუგუშვილი ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი იყო, გუნდს თვითონ პრეზიდენტობდა და თავის სტუდენტებს ასწავლიდა, ფეხბურთსა და ცხოვრების სიყვარულს უნერგავდა, გაკვეთილებს აძლევდა... დავითმა ნაადრევად, ოცდაორი წლისამ, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო დაანება თავი ფეხბურთს. ახლა განუზრახავს, პირადულად ვერმიღწეული და დანაკლისი ვაჟიშვილის მეობითა და მეოხებით აინაზღაუროს, პირმშოს ზურგი ყოველმხრივ შეუმაგროს.

ბედად, ლაზარე (ქართულ-ამერიკული სკოლა "ახალი თაობის" მერვეკლასელი) ის კარგი შვილია, მამის გუმანს ხვდება და, ისედაც, საკუთარი სურვილიც ამოძრავებს, წინ წაიწიოს, მეტს მიაღწიოს სპორტში. მისეული გზა კი უკვე აღმავალია: კასპის საფეხბურთო სკოლის მწვრთნელის, შავლეგო მაჭარაშვილის, შეგირდმა გასვლით პირველივე ტურნირზე, საკუთარი ინდივიდუალური მონაცემებით, დაიმსახურა საფეხბურთო კლუბი "გაგრას" წარმომადგენელთა ყურადღება და მიიწვიეს. მალევე აღმოჩნდა "ვაზისუბნის" საფეხბურთო სკოლაში. მისმა მწვრთნელებმაც, ზაალ ქოიავამ და გიორგი მელიქიშვილმა, გამოარჩიეს და რეკომენდაცია გაუწიეს ნაცნობ კოლეგებთან, დედაქალაქურ ცნობილ 35-ე სკოლაში მოსახვედრად. ლაზარე ნონიაშვილი ახლა ამ სკოლის ასაკობრივი გუნდის საიმედო მოთამაშეა. მარცხენა მცველის ამპლუა მისთვისაა ზედგამოჭრილი. ცენტრალურის ადგილზეც კარგად ირგებს როლს. 2023 წლის სექტემბრიდან განვლილი 4-თვიანი პერიოდის დაგვირგვინება გამოდგა "თბილისის ლიგის" ჩემპიონობა. თანაც, ორი გოლიც მიითვალა: პირველივე თამაშში გაუტანა მარცხენათი "დიდი დილმის" მეკარეს, მეორე შემთხვევაში კი სულაქველიძის აკადემიელთა კარის ჩარჩოში თავით დააჭედა კუთხურიდან გადმოსროლილი ბურთი.

ლაზარეს მისაბაძი ფეხბურთელები? უცხოელთაგან – ნეიმარი, ქართველებიდან – კვარაცხელია!

წიგნადი ფონდის განახლება

კასპის მთავარმა ბიბლიოთეკამ (მენეჯერი ხათუნა ბახუაშვილი) დეკემბერში მონაწილეობა მიიღო წიგნადი ფონდის განახლების პროექტში, რომელიც გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში.

ბიბლიოთეკას წიგნების შესაძენად გადაეცა 900 - ლარიანი ვაუჩერი, რის საფუძველზეც მკითხველის მოთხოვნის შესაბამისად შეირჩა ლიტერატურა სხვადასხვა გამომცემლობიდან.

კასპის ბიბლიოთეკა მადლობას უხდის საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციას /Georgian Publishers and Bookcsellers Association/ და ფონდი არველაძეს / Arveladze Foundation/.

პროექტი საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ფონდ არველაძის ფინანსური მხარდაჭერით იმართება.

სახელობითი ოლიმპიადა

გაგრძელება დასაწყისი 4გვ.

პრიზიც დააწესა. საშუალო საფეხურის პირველი ადგილის მფლობელი, ზაფხულში, "ვიკიპედიის" ბანაკში მიიწვია.

ნინო ნიპარიშვილმა -ნინო ბურდულის დისშვილმა, მისმა ყოფილმა მოსწავლემ და კოლეგამ, თავისი წვლილი შეიტანა დაჯილდოებაზე. კერძოდ, 2023 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალში, როგორც ხუთეულის წევრს, გადაეცა გამომცემლობების ვაუჩერები, რომლის საშუალებითაც ოლიმპიადაში მონაწილე ბავშვებს გადასცა წიგნები, საბაზო საფეხურის პირველი ადგილის მფლობელს ნია ქეშელაშვილს კი ფულადი ჯილდო და საგზური ზაფხულის ბანაკში "მოტივაცია."

მასწავლებლობა ესაა უდიდესი შრომა, უდიდესი ღვაწლი და ჩვენ კასპში გვყავს ისეთი ასაკიანი მასწავლებლები, რომლებმაც შექმნეს უდიდესი სკოლა. ნინო ბურდულის კოლეგა და მეგობარ მასწავლებლებს დიდი ტაშითა და ქედის მოხრით უთხრეს მადლობა ოლიმპიადის მონაწილეებმა. კერძოდ, აპლოდისმენტებით გამოხატეს მადლობა ნანული თელიას, ივლიტა კახიანის, ზინა გოგობერიძის, დალი ხაჩიძის, დალი კოტიაშვილის, დალი ოკინაშვილის, ელიკო ზერეკიძის, გიული სოზიაშვილის მიმართ.

საჯარო სკოლის დირექტორებმა, ნელი ჯანანაშვილმა - (კავთისხევის საჯარო სკოლა,) მარინე ქონიაშვილმა - (კასპის №3 საჯარო სკოლა), ეკატერინე ბუაჩიძემ - (ოკამის საჯარო სკოლა) და ამავე სკოლების ისტორიის მასწავლებლებმა ჩართეს მოსწავლეები ოლიმპიადაში, მისცეს დიდი მოტივაცია.

იმედია, ოლიმპიადა ტრადიციულად გაიმართება და კვლავ საინტერესო იქნება.

კარგარეთელის სახელობის სამუსიკო სკოლაში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში ია კარგარეთელის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა.

შეხვედრა დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით, ლექსებით, სიმღერებით, ცეკვებით, თეატრალური მინიატურებით. შეხვედრას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების გაერთიანების თანამშრომლები. მათ წამახალისებელი სიგელები გადასცეს მოსწავლეებს. შეხვედრას ხელმძღვანელობდა შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი ლელა ალიმბარაშვილი.

თოვლიანი პალიტრა

გაგრძელება დასაწყისი 3გვ.

სითბოსაც შეგაგრძნობინებს, შეგათბობს. იანვარი, თოვლიანობა და, საერთოდ, ახალწლიანობა, მოგეხსენებათ, უნაძვისხეოდ წარმოუდგენელია. ჰოდა, ყოველი პირველი იანვრისათვის "ვაცოცხლებ" ახალ ნაძვებს – ბუნებრივი, მცენარეული ნობათითა თუ ნარჩენებით: ფესვებით, ფოთლებით, ტოტებით, ბალახით...

აი, 2023 წლის დამდეგს ახალციხური ნაძვის ხე საუკეთესოდ აღიარეს ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწყობილ რესპუბლიკურ კონკურსში. იგი შევქმენი ჩემს მოსწავლე გოგონასთან – თამარ ბარნოვთან ერთად.

2024 წლის საიანვროდ ფრიად ორიგინალური ნაძვის ხე დავდგით ჩვენივე სოფლის ფოიეში. საერთოდ, ახალციხური "საშობაო პროექტი" ვიწრო ჩარჩოებს სცდება. სახალისო ნაკეთობებით გავაფორმეთ სკოლის ფანჯრების მინები. თვით შენობის კედლები კი გაფორმებული გვაქვს საგანმანათლებლო და მწიგნობრულ თემატიკაზე შექმნილი ნახატებითა და ესკიზებით.

როგორია ჩვენი გეგმები და ჩანაფიქრები 2024 წლისათვის? – უფრო მეტი მრავალფეროვნება და ფართო ჩართულობა ფერწერის უკიდეგანო სამყაროში!

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ფრიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გაზეთ „ახალი განთიადის„ სარედაქციო ჯგუფი თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს ილია ბესტავაშვილის გარდაცვალების გამო.

ჩვენო საყვარელო პატარებო!

დღენიადაგ ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ საყვარელ ზღაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნყალქვეშა სასახლეებსა და ალპებში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომწერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საყვარელ რუბრიკაში

გამოსათხოვარი

მარეხი აფციაური

კასპის მესამე საბავშვო ბაღს აღარ ჰყავს მარეხი მასწავლებელი.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქ. კასპის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელის – მარეხი (ლია) აფციაურის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამძიმარს დიდი გულისტკივილით ვუერთდებით და ვიზიარებთ მისი კოლექტივის წევრები მესამე ბაღიდან, სადაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების სამ ათეულ წელზე მეტი გაატარა. მიმდინარე წელს მას 40 წელი შეუსრულდებოდა ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საპატიო მსახურებაში: 40 წელი – აღმზრდელის პოზიციაზე! – ეს ცოტას როდი ნიშნავს.

მარეხი მასწავლებელი გამოირჩეოდა ბავშვების მიმართ განსაკუთრებული კეთილდამოკიდებულებით, სითბოთი, გულისხმიერებით, თავისი საქმისა და მოვალეობის შესრულების ერთგულებით.

ამასთან, იყო სახელოვნებო და შემოქმედებითი ხელნაკეთობების დამზადების ოსტატი, მონაწილეობდა საქალაქო კულტურულ ღონისძიებებში.

როგორც წესი, ძირითადად, უფროსი ასაკის (5–6-წლიანთა) ჯგუფებში უხდებოდა მუშაობა და ჩართული იყო სასკოლო მზაობის საქმიანობაში. განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში ემზადებოდა ჩვენი ბაღის 50-ე თაობის გამოშვების აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებისათვის, რაც 2024 წელს შესრულდება.

სამწუხაროდ, საიუბილეო გამოშვება მარეხი მასწავლებლის გარეშე ჩაივლის. ის მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

მარადიულობის ახალბინადრობის გზა მარეხი მასწავლებელს გაუნათა პატარების დიდმა სიყვარულმა და მათი მშობლების მადლიერებამ. მის უანგარო და უღალატო გარჯილობას ახლებურად ვაფასებთ და აღვიქვამთ მისი კოლეგები, თანამშრომლები. ამიტომ მარადიულ ხსოვნას ვუთვლით მის ლამაზ სულს.

ქ. კასპის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი.

უშანგი მოსიაშვილი შვილებით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თინიკო მერებაშვილი

და თანაუგრძნობს ოჯახს.

ლია მენაბდიშვილი, ნანა მერებაშვილი უსამძიმრებენ ოჯახს

თინიკო მერებაშვილის

გარდაცვალების გამო.



2024 წელი

იანვარი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

თებერვალი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29			

მარტი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

აპრილი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

მაისი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

ივნისი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

ივლისი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

აგვისტო

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

სექტემბერი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

ოქტომბერი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

ნოემბერი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

დეკემბერი

ორ	სა	ოთ	ხუ	პა	შა	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76